პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990 27 იანვარი შაბათი

№12 (6239) ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

# აზერბაიჯანისა და სომხეთის ამბები

ბაქოსა და აზერბაიჯანში ვითარება კვლავ რთულია. ქალაქის სამხედრო კომენდანტის ცნობის თანახმად, ექსტრემისტული დაჯგუფებანი განაგრძობენ დანაშაულებრივ მოქმედებას და პროვოკაციულად იწვევენ ჯარებთან შეტაკებებს. ორშაბათს საღამოს ცეცხლი დაუშინეს ავტომანქანების კოლონას, რომლებშიც იმხდნენ სამხედრო მოსამსახურეები, ქალები და ბავშვები. არის მსხვერპლი. მოგვიანებით ბანდიტები თავს დაესხნენ სამხედრო ავტომანქანას და ჯარის საგუშაგოებს. განვლილ დღე-ღამეში დაკავებულია 62 კაცი, ჩამორთმეულია 60 ერთეულზე მეტი ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი.

მიმდინარეობს ლტოლვილთა გახიზვნა. დღე-ღამის მანძილზე საჰაერო და რკინიგზის ტრანსპორტით რესპუბლიკიდან გაიყვანეს სომეხი ეროვნების 97 პირი, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 665 წევრი. სულ 14 იანვრიდან ბაქოდან გახიზნულია 16 ათასზე მეტი სომეხი.

ცალკეული მოქალაქეები იღებენ ანონიმურ წერილებს, მათ ურეკავენ და ემუქრებიან. კომენდანტმა ქალაქელებს მოუწოდა გამოიჩინონ თავშეკავება და სიმშვიდე, აღუთქვა, რომ ბაქოს გარნიზონის ჯარები აკონტროლებენ ვითარებას. აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზუსტებული მონაცემებით, 20 იანვრიდან 22 იანვრამდე ჩათვლით ბაქოში დაიღუპა 93 კაცი, მათ შორის 75 სამოქალაქო პირი, დაშავდა 639 სამოქალაქო პირი და მილიციის და სამხედრო მოსამსახურეების 76 წარმომადგენელი.

მოსკოვში აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის მიერ გავრცელებული ჭორები, თითქოს ათასობით კაცი დაღუპულიყოს, ვითომდა 1500-მდე გვამი დაემალოთ ბორან „ყაზახეთზე", ცინიკური სიცრუეა.

პროვოკატორები ბაქოდან გზავნიან ყალბ დეპეშებს, თითქოს მასობრივად დაღუპულიყვნენ სხვადასხვა რესპუბლიკიდან გამოსული სამხედრო მოსამსახურეები, ვითომდა იგეგმებოდეს სამხედრო ნაწილების თავდასხმები აზერბაიჯანის დასახლებულ პუნქტებზე. არც ეს არის მართალი.

გრძელდება ბაქოს ყურეში სამხედრო ხომალდების და კასპიის ფლოტილიის შტაბის მიწისზედა ნაგებობების ბლოკირება.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

# გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი, დაბადებული 1921 წელს, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონულმა ორგანიზაციამ წამოაყენა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში.

# ერთიანი ძალისხმევით

## შეხვედრა მშრომელებთან

24 იანვარს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მრავალრიცხოვან კოლექტივს შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი ე. კ. გუგავა.

ეს იყო გულახდილი სჯა-ბაასი, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა ქვეყანაში, რესპუბლიკაში არსებულ რთულ ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას.

—პრობლემები ათწლეულების მანძილზე გროვდებოდა, აღნიშნა ე. გუგავამ. კარგახსნილობის, საჯაროობის, დემოკრატიზაციის ატმოსფერომ ერთბაშად გამოამჟღავნა ეს პრობლემები, გაამწვავა ისინი და, ბოლოს შექმნა ვითარება, როცა ყველანი ავლაპარაკდით.

ვრცლად ილაპარაკა ეკონომიკური რეფორმის ისეთ საკითხებზე, როგორიც წვრილგლეხური მეურნეობაა.

შეეხო რა ეროვნულ მოძრაობას, აღნიშნა, რომ დღეს, როდესაც არა მარტო რესპუბლიკისა და მის დედაქალაქში, არამედ მთელი ამიერკავკასიის რეგიონში უაღრესად დაძაბული სიტუაციაა, აუცილებელია საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ასეთ არაორდინარულ პირობებშიც კი გამიზნული მუშაობა, მშრომელთა დარაზმვა, თითოეულის გააქტიურება და სიმტკიცე, მათ მიერ ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი და ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობის კონკრეტულ საქმეებში გამოხატვა, რამეთუ მიზანს, ვიხილოთ თავისუფალი, სუვერენული, ეკონომიურად ძლიერი საქართველო, გაათკეცებული შრომა სჭირდება.

1990 წელს რაიონის წინაშე მდგარი პრობლემები მეტად მნიშვნელოვან და პრინციპულია, განაგრძო მან. ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ, პირადი და საერთო პასუხისმგებლობით, ერთიანი ძალისხმევით გადავწყვეტთ მათ.

შეეხო რა რაიონში სტიქიით, კერძოდ, მეწყრული მოვლენებით შექმნილ რთულ მდგომარეობას, შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ის ოპერატიული ღონისძიებანი, რაც დაზარალებული ოჯახების დასახლებისთვის ხორციელდება.

ილაპარაკა კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების სასიცოცხლო მნიშვნელობაზე. შრომით კოლექტივს მოსთხოვა მაქსიმალური მობილიზება, დარაზმულობა და სიმტკიცე მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის, იმ პრეტენზიების მინიმუმამდე დაყვანისათვის, რასაც რაიონის მშრომელები სამართლიანად უყენებენ სფეროს მუშაკებს.

—ახლოვდება უზენაესი საბჭოს არჩევნები—აღნიშნა მან. ამჟამად მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. თუ წინათ ერთ ვაკანტურ ადგილზე მხოლოდ ერთ კანდიდატს ასახელებდნენ, რომ მოცილე არავინ ჰყოლოდა, ასეთი შერჩევის შემდეგ დასახელებულს არჩევის სრული გარანტიაც ჰქონდა, დღეს ასე არ არის. ამჟამად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქშიც დეპუტატობის 4 კანდიდატია დასახელებული. დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება კვლავ გაგრძელდება 8 თებერვლამდე. დაე, რესპუბლიკის პარლამენტში გვყავდეს ყველაზე ღირსეული, ყველაზე მებრძოლი და გონიერი ადამიანები.

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი ე. კ. გუგავა ყურადღებით ისმენდა შეხვედრის მონაწილეთა აზრს, მრავალ შეკითხვას პასუხს სცემდა, არწმუნებდა, ეთანხმებოდა, ეკამათებოდა, განუმარტავდა...

ამ ადამიანურ გულახდილ ურთიერთობაში ასე გავიდა ორ საათზე მეტი სასარგებლო და საინტერესო დრო.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მშრომელებმა მადლობა გამოხატეს საქმიანი შეხვედრისათვის, მათი სატკივარ-საფიქრალის გაზიარებისათვის და აღუთქვეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

**ზ. ბაქრაძე.**

# ისევ ძველი გზით?

### თეორიულ — პრაქტიკული კონფერენციის შესახვედრად

შუა ხანს გადაცილებული კაცი ვარ, სამეურნეო საქმიანობის საკმაო გამოცდილების მქონე. მომსწრე და მონაწილეც ვარ კოლექტივიზაციამდელ პერიოდში არსებული შრომის ისეთი ფორმის, როგორიც წვრილგლეხური მეურნეობაა. მაშინ ჩემი მამაპაპა 1 ჰექტრამდე ვენახს და 4-5 ჰექტარ სიმინდისა და პურის ყანებს ამუშავებდა, 12 სულიან ოჯახში 3 უღელი მუშა გამწევი ძალა, 15 სულამდე სხვა მსხვილფეხა პირუტყვი და 30-მდე ღორი გვყავდა, ბევრი იყო სოფელში უქნარა, უმიწო გლეხი 250 კომლიან სოფელში 40-50 თუ იყო ისეთი, რომელსაც თავის რჩენა ასე თუ ისე შეეძლო. კოლექტივში ჩვენი ოჯახი 1938 წლამდე არ შესულა, კოლექტიურ შრომაშიც ვმონაწილეობდით.

სულ სხვა ხიბლი ჰქონდა ერთად შრომას, ერთად შექმნილი დოვლათის განაწილებას; კოლექტივში შესვლის პირველსავე წელს ჩვენს ოჯახს სხვა სასურსათო პროდუქტებთან ერთად განაწილებით 1 ტონამდე მარტო ღვინო ერგო. აღრიცხვა ზუსტი და უტყუარი იყო, მოსავლის ხელყოფას ვინ გაბედავდა, სასუქებს მხოლოდ ორგანულს ვიყენებდით, გამორიცხული იყო გარემოს დაბინძურების, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის პრობლემა. იყო კონტროლი, დისციპლინა, მომთხოვნელობა. ყოველივე ამან, საუბედუროდ, 50-იან წლებამდე გასტანა. შემდეგ კი თანდათან შესუსტდა დისციპლინა, იკლო მოსავალმა. 60-იანი წლებიდან კი საკოლმეურნეო ყანებისა და ბაღ-ვენახების ინდივიდუალურ გაპიროვნებაზე გადავედით, ფაქტიურად დაიშალა ბრიგადული სისტემა, შესუსტდა კონტროლი, აღრიცხვა-ანგარიშგება, იმატა არამწარმოებლურმა ხარჯებმა, გაჩნდა მინაწერები, ფალსიფიცირებული ციფრები და კოლმეურნეობათა უმრავლესობა გაპარტახების გზაზე დადგა. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმა—იჯარა დაინერგა, ორი წელია, რაც კოლმეურნეობებში ამ ფორმით მუშაობაზე გადავიდნენ, პირველ წელს მართლაც იყო შედეგი, მაგრამ გასულ წელს ამ სიახლემ ჩვენთან დამახინჯებული ფორმა მიიღო.

ახლა ისევ და ისევ ვეძებთ მდგომარეობიდან გამოსავალს, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მარტო ლოზუნგებით აღარ გვარგია, საამისოდ მხოლოდ საქმეა საჭირო. ჩვენ კი უფრო მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე საქმეს ვაკეთებთ, საქმესთან მივალთ და საქმის კეთება კი გვიჭირს.

მოგეხსენებათ, ახლა დიდ გასაჭირშია აგრარული სექტორი, მაგრამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზად მაინც წინსვლა, ახალი მეთოდებისა და ხერხების გამოყენება მიმაჩნია და არა კოლმეურნეობების დაშლა, ისევ და ისევ ძველი გზის არჩევანი, წვრილგლეხურ მეურნეობებზე გადასვლა. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი ეკონომიკის წამყვანი და ძირითადი სოფლის მეურნეობაა. ახლა, როცა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში საანგარიშო კრებებისათვის მზადებაა, მართალია, დღის წესრიგში, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გაწეული შრომის შედეგების ანალიზია, მაგრამ აქვე, ამავე კრებებზე ადამიანებს ვუჩვენოთ ქაოსური ვითარებიდან გამოსასვლელი სწორი, პერსპექტიული გზა, ავუხსნათ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის არსი, ვისაც სურვილი დაებადება, ნება მივცეთ გადავიდეს.

მე კი, როგორც სპეციალისტს, მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზად თითოეული კოლმეურნეობის, საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, სამეურნეო ხელმძღვანელთა ხალხის ნებით არჩევა და იმ დარგის განვითარებისაკენ გეზის აღება მიმაჩნია, რაც ცალკეული საზოგადოებრივი მეურნეობისათვის ხელსაყრელი იქნება, როგორც წარმოების, ისე გასაღების თვალსაზრისით.

**რ. მეშველიანი,**

ჩხუტელის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან შეიქმნა წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რაიონული გაერთიანება. კოოპერატორთა გაერთიანების ამოცანებისა და მომავალში მათი საქმიანობის პერსპექტივების შესახებ ამ გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეს ა. დ. ჩიქოვანს შეხვდა და ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი ვლ. დავითულიანი. ვბეჭდავთ ამ საუბარს.

რედაქცია ითვალისწინებს გაერთიანების ხელმძღვანელთა თხოვნას და კოოპერაციული საქმიანობით ყველა დაინტერესებულს აცნობს, რომ შეუძლიათ ყოველგვარი კონსულტაცია მიიღონ გაერთიანების გამგეობაში.

# კოოპერატივები: რეზერვები და პერსპექტივები

**თქვენ ახლადარჩეული თავმჯდომარე ხართ, მაგრამ მაინც მინდა პირველი კითხვა ასეთი დაგისვათ: ამართლებს თუ არა წარმოებისა და მომსახურების სფეროს ამჟამად არსებული კოოპერატივები და რას გულისხმობთ ამ გამართლებაში?**

სრულყოფილად არ ვიცნობ კოოპერატივების მთელ საქმიანობას, მაგრამ ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ მომავალი ამ სფეროში მათ ეკუთვნით. გასულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტს მისცეს 18,4 ათასი მანეთი, ბანკში ნაღდი ფულის სახით 60 ათასი მანეთი შეიტანეს, ხოლო შემოსავლებმა ნაღდად და უნაღდოდ 2.058 ათასი მანეთი შეადგინა. ამასთან მიმაჩნია, რომ სწორად წარიმართოს მათი პროფილი და მიზანი ამართლებდეს შედეგებს—მთავარია არა მარტო რაოდენობა, არამედ—ხარისხი.

**რას გულისხმობთ პროფილში?**

ჩემის აზრით, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი კოოპერატივების გახსნას, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ, უფრო მეტად ფართო მოხმარების საქონელს, კვების პროდუქტებს, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს, არსებითად უნდა ვეძებდეთ რაიონში არსებულ რესურსებსა და რეზერვებს, წარმოებულ პროდუქციას თვით რაიონის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად ვიყენებდეთ, მაგრამ არც პროდუქციის გატანა უნდა დავივიწყოთ, იმ სასურველი პირობით, რომ სამაგიეროდ საჭირო პროდუქტი თუ ნედლეული შემოვიტანოთ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ შეიქმნა დღემდე კოოპერატივები საზოგადოებრივ კვებაში, პურის ცხობაში, საკონდიტრო წარმოებაში, მითუმეტეს, რომ 1990 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 29 დეკემბრის №1091 განკარგულებით ასეთი სახის კოოპერატივები მომარაგდებიან პურის ფქვილით საცალო ფასებში, მოსალოდნელია უახლოეს დღეებში გადაწყდეს შაქრით უზრუნველყოფის საკითხიც. დღის წესრიგში ისიც დგას, რომ საზოგადოებრივი კვების კოოპერატივებში დაუშვან ლუდითა და ღვინით ვაჭრობა.

**თქვენ ზემოთ ახსენეთ მომსახურების პროფილის კოოპერატივების ქსელის გაფართოების საჭიროება. ეს მომსახურების იმ დარგებსაც ხომ არ ეხება, რომლებიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპეტენციაში შედის?**

რა თქმა უნდა, ამ დარგებშიც უნდა შეიქმნას კოოპერატივები, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ ამჟამად საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში არსებულ საწარმოებს, მხოლოდ, ერთი უპირატესობით—მომსახურების მაღალი კულტურითა და შეწონასწორებული ფასებით. კონკურენციის გარეშე რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. იმ ფაქტს, რომ ქიმწმენდამ ჩვენთან ფეხი ვერ მოიკიდა, კლიენტებს ნუ გადავაბრალებთ. ეს მაგალითისათვის მოგახსენეთ.

**რა აზრისა ხართ ოჯახური კოოპერატივების შესახებ მომსახურებასა და სოფლის მეურნეობაში?**

იგი კოოპერატიული მოძრაობის სრულიად გამართლებულ ფორმად მიმაჩნია. უფრო მეტიც —ასეთ კოოპერატივებს უნდა მიეცეს წარმოების, შესყიდვისა და გასაღების მიმართულებაც. დასაშვებია, როცა ოჯახების გარკვეულ ჯგუფს გააჩნია საკუთარი პირუტყვი, ფრინველი, აწარმოებს ხორცს, რძეს, ხილს, მარცვალს, შეუძლია გახსნას საზოგადოებრივი კვების კოოპერატივი, დამატებით შეიძინოს საჭირო პროდუქტი და სათანადო დამუშავების შემდეგ გაყიდოს არა მარტო საზკვების კოოპერატიულ ობიექტში, არამედ—საკუთარი ან ჯგუფური საკუთრების მაღაზიაშიც. კოოპერატივების ეს ფორმა განსაკუთრებით პროგრესული და გამართლებული იქნება მაშინ, როცა ჩვენთან დამკვიდრდება გლეხური მეურნეობა, თუმცა იჯარული ფორმაც ამისათვის საკმარისია.

**რას ნიშნავს წარმოების, შესყიდვისა და რეალიზაციის მიმართულება?**

რესპუბლიკაში არსებობენ ასეთი სახის კოოპერატივები. ისინი თვით აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ამასთან თავიანთ რეგიონშიაც და მის ფარგლებს გარეთაც ყიდულობენ გაცვლითი ოპერაციებით კვების პროდუქტებს (ნედლეულს) და თავიანთ რაიონებში უკეთებენ რეალიზაციას. მაგრამ ისინი კოოპვაჭრობის ქსელისაგან არსებითად განსხვავდებიან, რადგან სარეალიზაციო საქონელს სათანადო ფორმასა და რეკლამას უქმნიან. ასეთი მაღაზია ალბად ჩვენთანაც გაიხსნება კოოპერატივების სათანადო კოოპერირების ბაზაზე.

**საწარმოო კოოპერატივების გახსნისა და ფუნქციონირებისათვის რა საჭირო რესურსებს ხედავთ ჩვენს რაიონში?**

პირველ რიგში — მიწას, ტყეს, წყალს, მთელი ამ სიმდიდრის გონივრულ გამოყენებას. მე თავიდან გამოვრიცხავ ყველა საქმესა და წარმოებაში რაიმე მინაწერსა და მაქინაციებს. კოოპერატივი პირადი ან ჯგუფური საკუთრებაა და თავისთავთან ქურდობა ან ღალატი გამორიცხულია. უამრავი შესაძლებლობაა ხილის წარმოებასა და დამზადებაში. ვთქვათ — ხმელი ხილი (ჩირი), ტყის ნობათი—მოცვი, მაყვალი, ანწლი, მეცხოველეობაში ყველაფრის შემდეგ — ტყავი, ღორისათვის (ადგილობრივი ჯიში) წაბლი, რკო, საჭირო ტყე—ბუჩქნარიანი საძოვრები, თევზისათვის — წყალი, მოსაპირკეთებელი და სამშენებლო ქვა. ყველა საქმეს ჩვენ საჭირო ფონდით ვიწყებთ და იგი ეკონომიკურად გაუმართლებელი[illegible] დავიწყოთ მცირედით[illegible] მოგებით და უნდა [illegible]ვავითაროთ მეურნეობა გამოუყენებელი იაფი [illegible] ტყვიან, [illegible] დღემდე [illegible]? [illegible] იყო „ჩვენი“ და არა — „ჩემი“. როცა ბატონობს „ჩემი“, საქმეც წინ მიდის. ასეთია პირადი (კერძო) თუ ჯგუფური საკუთრების საფუძველი და პერსპექტივა.

**რამდენად სწორად მიგაჩნიათ დამკვიდრებული წესი იმის შესახებ, რომ ყოველ ჩაბარებულ კილოგრამ ხორცზე მოქალაქე და კოოპერატივი იღებს მხოლოდ მის სახელმწიფო ფასს: ხოლო ფასდანამატიდან მას არაფერს აძლევენ?**

სრულიად გაუმართლებელი ეკონომიკური ძალადობაა. სახელმწიფო, თუ მას სურს მწარმოებელი დააინტერესოს, ერთი ჯიბიდან მეორეში კი არ უნდა დებდეს სახსრებს და ისიც უპერსპექტივოდ, დასაღუპავად განწირვისათვის, არამედ იგი მხოლოდ და მხოლოდ მწარმოებლის ინტერესებისათვის უნდა გამოიყენოს, რომ პროდუქტი შეიქმნას. ამიტომ სრულიად გამართლებულად მიმაჩნია ფასდანამატი ჩამბარებელმაც გაიზიაროს, ვთქვათ, მას მიეცეს მისი ნახევარი მაინც.

**კი, მაგრამ საკვები ფონდი ხომ ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი მეურნეობის ხელშია?**

პირველი უსამართლობა სწორედ ეს არის, რომ მწარმოებელს (კოლმეურნეს) საკვები ფონდი კი გამოეყოფა, მაგრამ ფასდანამატი არ ეძლევა, ხოლო კოოპერატივებს საკვები ფონდი საერთოდ არ აქვთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი ხორცს ჩააბარებს მეურნეობის სახელით და ფასდანამატზე არ იფიქრებს. ჩემი აზრით, ფონდიც და ფასდანამატიც, სანამ ის არსებობს, მწარმოებელმა უნდა მიიღოს.

# აზერბაიჯანისა და სომხეთის ამბები

(დასასრული).

არის შემთხვევები, როცა არეულობაში მონაწილეობენ სამხედრო მოსამსახურეთა ფორმაში გადაცმული ტერორისტები.

„აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის“ წარმომადგენლები ადგილობრივი ტელევიზიით, მიტინგებზე გამოსვლებისას კვლავ აღვივებენ ვნებებს საგუშაგოებისა და ქვეგანყოფილების ირგვლივ, რომლებმაც კონტროლს დაუქვემდებარეს სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთები. ისინი აკეთებენ პროვოკაციულ განცხადებებს, ემუქრებიან ამოჟლეტით.

მიუხედავად ამისა, სასაზღვრო ნაწილებმა და ქვეგანაყოფებმა განვლილ დღე-ღამეში კონტროლს დაუქვემდებარეს აზერბაიჯანში საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის დიდი ნაწილი. მნიშვნელოვნად შემცირდა საზღვარზე გადასვლა. მართლწესრიგის აღდგენაში მესაზღვრეებთან, მეთაურებთან და პოლიტმუშაკებთან თანამშრომლობენ საზღვრისპირა სოფლების მცხოვრებთა დიდი ჯგუფები. მესაზღვრეთა შორის მოკლულნი და დაჭრილნი არ არიან.

მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით შეუდგნენ გზებზე ბლოკადის მოხსნას.

ამიერკავკასიის რკინიგზის სადახლოს სადგურის გავლით 22 იანვარს სომხეთში წავიდა 10 სატვირთო შემადგენლობა, მათ შორის საწვავ-საპოხი მასალებით დატვირთული 122 ვაგონი.

რესპუბლიკის მოქალაქეთა შორის იზრდება წუხილი და შეშფოთება ექსტრემისტებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა შეიარაღებული ჯგუფების მოქმედების გამო, ხალხს მობეზრდა შიშიანობა და გაჭირვება. მათ სურთ ნორმალურად იცხოვრონ და იმუშაონ, მოუწოდებენ თანამემამულეებს დაიცვან წესრიგი, გამოავლინონ და დააკავონ სამართალდამრღვევნი, ჩააბარონ მიტაცებული იარაღი. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, განვლილ დღე-ღამეში დააბრუნეს: აშტარაკის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში—წინათ მიტაცებული პისტოლეტები, ქალაქ ერევნის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში —2 ჰაუბიცი და 40 სანადირო თოფი.

ამავე დროს რესპუბლიკის ცალკეულ პუნქტებში იყო დაცვის ობიექტებზე თავდასხმების შემთხვევები იარაღისა და ტყვია-წამლის ხელში ჩაგდების მიზნით. წააქეზეს რა ადამიანები ამ დანაშაულებრივი აქციებისათვის, ამასთანავე არაფორმალთა ლიდერები კონტროლს ველარ უწევენ მოიერიშეებს, 21 იანვარს აზერბაიჯანთან საზღვარზე სროლის დროს მოკლული ექსტრემისტის დაკრძალვის დროს ერთ-ერთმა შეიარაღებულმა ტერორისტმა თავში დაჭრა ყმაწვილი.

კიევის სამხედრო ოლქის სასწავლო სატანკო პოლკის მრავალრიცხოვანმა პირადმა შემადგენლობამ, რომელშიც მრავალი აზერბაიჯანელი და სომეხია, მოუწოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების ხალხებს შეწყვიტონ ძმათა შორის შეტაკებანი. მიმართვის ტექსტი დაეგზავნათ ამიერკავკასიის რესპუბლიკურ გაზეთებს.

(საქინფორმი).

# წინ ხალხური თვითშემოქმედების რაიონული ფესტივალისაკენ!

მიმდინარე წლის მარტში ჩატარდება ხალხური თვითშემოქმედების ლეჩხუმის ახალგაზრდობის ფესტივალი.

ფესტივალის პროგრამაში შეტანილი იქნება ქართული ხალხური სიმღერები, ცეკვები, ხალხური ლექსები, გამონათქვამები, კაფიები და ა. შ.

გთხოვთ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, კულტურის სფეროს მუშაკებს, ყველას, ფესტივალისათვის მზადების პერიოდში ახალგაზრდობისადმი აქტიურ მხარდაჭერასა და თანადგომას.

გვჯერა, რომ ფესტივალის მაღალ დონეზე წარმართვა ეროვნული საქმისადმი ერთგულების კიდევ ერთი მაგალითი, ჩვენი მშობლიური კუთხის, მისი წარსულისა და მომავლისადმი სიყვარულის ნათელი გამოხატულება იქნება.

საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომი.

## ქმედითობა

### » სიტყვა საქმიანი «

ჩვენი გაზეთის 13 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „სიტყვა — საქმიანი“ პასუხად კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატის უფროსი **მ. მიქაძე** რედაქციასატყობინებს, რომ წერილში გამოთქმული კრიტიკა ქალაქის ზოგიერთ უბანში აუტანელი ანტისანიტარიის შესახებ სიმართლეს შეეფერება. დიდთოვლობის გამო რამდენიმე დღის განმავლობაში შეფერხდა ნაგვის კონტეინერებთან მისასვლელი გზების გაწმენდა (ტექნიკის უქონლობის გამო). დღეისათვის მდგომარეობა გამოსწორებულია. მაქსიმალურად შევეცდებით აღმოვფხვრათ უსუფთაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი აზროვნებით, ახალი ენერგიით

## რაიონული საბჭოს სესია

## მიღწეული ცოტაა

გაიმართა სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს მეოცე მოწვევის მეცამეტე სესია.

საკითხზე „ცაგერის რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1989 წლის გეგმის შესრულების შესახებ" მოხსენება გააკეთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ **კ. პ. ხეცურიანმა.**

გასული 1989 წელი, აღინიშნა სესიაზე, აღსავსე იყო უდიდესი პოლიტიკური მოვლენებით. ეს წელი იყო ეკონომიკური რეფორმის მთავარ მიმართულებათა უზრუნველყოფისათვის ზრუნვის, ეკონომიკის მართვის ახალ ეტაპზე გადასვლის წელი.

რაიონის მშრომელებმა გასულ წელს გარკვეული მუშაობა გასწიეს სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად.

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ზრდის ტემპმა 175,6 პროცენტი შეადგინა, რეალიზებულ იქნა 2075 ათასი მანეთით მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1988 წელს, ასევე წარმატებით შესრულდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დავალება.

ერთგვარი წარმატებები იქნა მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. შესრულდა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის, რძის მიყიდვის დავალებები.

სესიაზე ხაზი გაესვა საგზაო მშენებლობაში, მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და კომუნალურ მომსახურებაში არსებულ მდგომარეობას. გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მაჩვენებლები.

სესიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, პრობლემებს, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ადგილობრივი რეზერვებისა და რესურსების ამოქმედება-გამოყენებას, პროდუქციის გამოშვების, საჰექტარო მოსავლიანობის, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და თვითღირებულების შემცირებას.

მომხსენებლისა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ მრეწველობის მუშაკები, ხელმძღვანელები მეტად უნდა დაინტერესდნენ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის, სახელშეკრულებო ვალდებულებების, მიწოდების გეგმების უცილობელი შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც არსებობს სოფლის მეურნეობაში. რომ ჯერ კიდევ ნელა გარდაიქმნება სოფლის მეურნეობის მმართველობის აპარატის სტილი და მეთოდები, ცოტა რამ კეთდება მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვისათვის, რამაც განაპირობა ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის, პირუტყვის სულადობის, ნამატის მიღების, წონამატის, საკვების დამზადების და სხვა გეგმების შეუსრულებლობა.

საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო საბჭოსა და სარემონტო უბნის ხელმძღვანელთა უგერგილო მუშაობის შედეგად ჭიანურდება გასაშვები ობიექტების მშენებლობა, ნელი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, სკოლების, სამედიცინო და კულტსაგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა.

მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის საშუალებებით და კულტურული მომსახურების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები.

სესიამ აგროსამრეწველო გაერთიანებისაგან მოითხოვა მუშაობის იმდაგვარად გარდაქმნა, რომ თითოეულ საზოგადოებრივ მეურნეობაში შემოქმედებითად მიუდგნენ სავარგული მიწების გამოყენებას და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გაფართოებით, აგროღონისძიებათა განხორციელებით, მატერიალური და მორალური წახალისების ქმედითად გამოყენებით გაიზარდოს მარცვლეულის, ყურძნის, ხილის საჰექტარო მოსავლიანობა, საკვების დამზადება და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

რაიკოოპერატივის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძისა და სხვა წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის 1990 წლის დასაწყისიდანვე უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები.

### ახალი წლის დავალებები დაძაბულია

დაძაბულია რაიონის 1990 წლის დავალებანი. გამოშვებულ უნდა იქნას 4382 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც უზრუნველყოფს წარმოების ტემპის ზრდას 106,7 პროცენტით. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1989 წელთან შედარებით გაიზრდება 265 ათასი მანეთით, რეალიზებულ უნდა იქნას 2482 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 700 ტონა რძე, 500 ტონა ხორცი, 7400 ტონა ხილი, 2400 ტონა ყურძენი, 50 ტონა მარცვალი, 20 ტონა აბრეშუმის პარკი...

საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ უნდა მიაღწიოს 11.379 ათას მანეთს, აქედან რაიკოოპერატივის საქონელბრუნვამ —10.500 ათას მანეთს.

მოსახლეობის ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობა 1989 წელთან შედარებით გაიზრდება 102 პროცენტით და მიაღწევს 1300 ათას მანეთს.

ავტოსატრანსპორტო საწარმომ 1990 წელს ტვირთზიდვა უნდა გაზარდოს 460 ათას ტონამდე. შემოსავლები ავტობუსებიდან 180 ათას მანეთამდე, ტაქსებიდან—100 ათას მანეთამდე, გაუმჯობესდება მომსახურების კულტურა.

გაგრძელდება სტიქიისაგან დაზიანებული კავშირგაბმულობის ქსელის აღდგენა. კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობამ 1990 წელს უნდა მიაღწიოს 456 ათას მანეთს. მნიშვნელოვნად გაიზრდება კაპიტალური მშენებლობა და რემონტი. საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს 1369 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაო, სარემონტო უბანმა—363 ათასი მანეთის. დამთავრდება ქალაქ ცაგერში მიმდინარე 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 3162 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. დამთავრდება ტვიშის წყალსადენის მშენებლობა, გაგრძელდება მეფრინველეობის ფაბრიკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სადაც გათვალისწინებულია წელს დაიხარჯოს 959 ათასი მანეთი. განახლდება სოფელ ორბელში სავაჭრო ცენტრისა და ლაძგვერიაში სასადილოს, გაგრძელდება ცაგერის საშუალო [illegible] და რაისაავადმყოფოს მშენებლობები, [illegible] დაიწყება სპორტდარბაზის, აგრეთვე ლვირიშისა და ზუბის სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა, გაგრძელდება მდინარე ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

გათვალისწინებულია კომუნალური მომსახურების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის დაიხარჯება 178 ათასი მანეთი. სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებს ჩაუტარდებათ 72 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოები.

1990 წლის გეგმით გათვალისწინებულია საგზაო მშენებლობის მიზნით დაიხარჯოს 4675 ათასი მანეთი, ანუ 430 ათასი მანეთით მეტი გასულ წელთან შედარებით. დაგეგმილია სწრაფი ტემპით გაგრძელდეს წყალტუბო-ცაგერის გზის რეკონსტრუქცია, რაზეც დაიხარჯება 2300 ათასი მანეთი, დამთავრდება ალვის ხიდის მშენებლობა და დაიწყება სოფლიდან შემაერთებელი გზის მშენებლობა. გაგრძელდება და წლის ბოლომდე დამთავრდება კვერეშულა-ზუბის, ლაძგვერია-ოფიტრის საავტომობილო გზების მშენებლობა. გათვალისწინებულია დაიწყოს ლვირიში-ნასპერის, ცაგერი—ლასხანის, ალპანა—ლვირიშის გზების კაპიტალური მშენებლობები. 1990 წელს სასოფლო-საავტომობილო გზების მშენებლობისათვის გამოყოფილია 1435 ათასი მანეთი.

სესიამ დაამტკიცა რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის გეგმები.

* * *

სესიაზე გამოითქვა რწმენა, რომ რაიონის მშრომელები მთელ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას მოახმარენ 1990 წლის დავალებათა შესრულებას და თავიანთ წვლილს შეიტანენ რაიონისა და რესპუბლიკის ეკონომიკის გაძლიერებაში.

---

## რედაქციაში შემოსული ერთი წერილის გამო

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელშიც სოფელ უცხერის მცხოვრები, პენსიონერი გ. ახვლედიანი გამოთქვამს გულისტკივილს იმის გამო, რომ ავტობუსი მარშრუტით ცაგერი-ლვირიში აღარ აგრძელებს გზას უცხერამდე. ამის თაობაზე, როგორც წერილის ავტორი გვწერს, უცხერელებს რამდენჯერმე მიუმართავთ ადგილობრივი თუ რაიონის ხელმძღვანელებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. ავტორი თხოვს რედაქციას დახმარებას.

ბუნებრივია, დავინტერესდით წერილში აღნიშნული ფაქტის გამო. მივმართეთ ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორს **ზ. მუშკუდიანს.** მან გვიპასუხა, რომ ავტობუსი უცხერამდე მოძრაობდა ზაფხულის პერიოდში, შემდეგ გზაში ჩამოწვა მეწყერი, ღვარცოფებისაგან იმდენად დაზიანდა, რომ შეუძლებელი გახდა ავტობუსის მოძრაობა, მანვე აღნიშნა, რომ როგორც კი გზა ნორმალური იქნება, ავტობუსი იმოძრავებს უცხერამდეც.

ველაპარაკეთ საგზაო სამმართველოს უფროსის მოადგილეს **ა. კიზირიას.** მან თქვა, რომ ლვირიში-უცხერის გზის მონაკვეთი საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. სამმართველოს წაყენებული აქვს მოთხოვნა სამინისტროს წინაშე, რომ ზემოთ აღნიშნული გზის მონაკვეთი ჩაისვას მშენებლობის გეგმაში და დაფინანსდეს მისი მშენებლობა, რის შემდეგაც სამმართველო დაიწყებს გზის შეკეთებას.

რედაქცია იმედოვნებს, რომ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები გულთან მიიტანენ უცხერელთა წუხილს და ყოველ ღონეს იხმარენ ამ საქმის მოსაგვარებლად.



**მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში მუშაობს ზინა გუგავა. მას იცნობენ როგორც გულისხმიერ მკერავს, გამოცდილს, კარგ ქალსა და პიროვნებას.**

**ზინამ გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულა პირადი დავალება, წელსაც გაზრდილ ვალდებულებას იღებს.**

# ფერმა კოოპერატიული გახდა

შარშან გეგმით გათვალისწინებულზე ათი ტონით მეტი რძე მიჰყიდეს სახელმწიფოს ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა. ამ მეურნეობის ფერმამ ახლახან დაიწყო მუშაობა კოოპერაციულ საფუძველზე.

თავიდანვე დადეს ორმხრივი შეთანხმება. კოლმეურნეობამ იკისრა მთლიანად აგოს პასუხი ფერმის საჭირო მატერიალური რესურსების მომარაგების, სახელშეკრულებო ვალდებულებების ჩაშლის შემთხვევაში. კოოპერატორები კი გადაიხდიან ჯარიმას, თუ ვერ გაართმევენ თავს პროდუქციის დაგეგმილი მოცულობის წარმოებას.

(საქინფორმი)

## მკითხველის შემოქმედება

### ღმერთთან შეხვედრაა ბოლოს

რამდენი რამე დარჩება უთქმელი,
ენაც ვერ იტყვის, გაცვდება სული
და მაინც ყოველთვის დარჩება იარად,
ის წვიმის შხეფები სველი.

მთვარე ბრძენკაცია და ცივია,
ვარსკვლავნი მხოლოდ ბრწყინავენ,
მზე დინჯად მავალი და მაინც მცხუნვარეა,
ზღვა უძირო და უსაზღვროდ მწყურვალე.

ზეცა მიგიზიდავს და შიგ შეგიტყუებს,
მთები მიგიჯაჭვავს სულაც,
მინდორი, ტყე-ველი ფართოა, გაშლილი,
ქარს კი ფიქრები აქვს აშლილი.

დრო მფრინავია და სულის სიმწარეა,
შვება სიცოცხლეა მხოლოდ,
სულთა შეხვედრა კი მართლაც სამოთხეა,
ღმერთთან შეხვედრაა ბოლოს.

ჩემი მიწის სუნთქვა მიყვარს,
იმ ბალახის შრიალი,
ქარის ქროლვა და ჩურჩული
ზამთრის ცივი ნიავი.

ლურჯი ზეცის სილაჟვარდე,
შიგ მერცხლების ციალი,
ნაკადულის ჩუხჩუხა ხმა,
ყოველი დღე მზიანი.

მიყვარს მთები ბუმბერაზნი
ცად მიბჯენილ მწვერვალით,
ციხე-კოშკთა ძველი ფუძე
ურყევი და მედგარი.

მიყვარს მთელი საქართველო
მიწის ყოველ მტკაველით,
მისი გმირი ვაჟკაცები
და დიდი რუსთაველი.

გულიკო მახარობლიძე.

ბდრ-ისათვის დამახასიათებელი ანგარიშიანი მმართველობის მეთოდებს მიეკუთვნება მიწების რეკულტივაცია, ასეთი პროცესი შრომატევადი და არც თუ იაფია, მაგრამ ასეთი დანახარჯები მთლიანად გამოისყიდება. საქმე ეხება არა მარტო სახალხო მეურნეობის მოგებას არამედ გარემოს შენახვას.

რესპუბლიკაში დამუშავებული ტექნოლოგიის დახმარებით წარმატებით ხდება ზარალის ანაზღაურება, რომელიც ბუნებას ბორაქსის ნახშირის კარიერებმა მიაყენა. მათ ადგილზე ჩნდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, იზრდება ტყე, იქმნება დასასვენებელი ადგილები.



სურათზე: ეს ფარა ძოვს კოტბესის ოლქის აღორძინებულ მიწებზე.

## განცხადება

30 იანვარს, სამშაბათს, 15 საათზე ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში გაიმართება ლეჩხუმის რეგიონალური სახალხო ფრონტის კონფერენცია. სახალხო ფრონტის წევრთათვის დასწრება სავალდებულოა.

კონფერენციაზე დასწრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

ლეჩხუმის სახალხო ფრონტის გამგეობა.

## გილოცავთ

**ირინე დადაშის ასულ გიორგობიანს**
**რობერტ კარლოს ძე გოდოლაძეს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გისურვებთ მრავალშვილიანობას.

**ტვიშის რეგიონის საბჭოთა, სამეურნეო და სხვა დაწესებულებათა თანამშრომლები.**

**მარინე კოტეს ასულ იორამაშვილს**
**ავთანდილ ალექსანდრეს ძე ნემსწვერიძეს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ერისათვის სასახელო ქალი გაზრდილიყოს. შესძენოდეს მრავალი და-ძმა.

**შარდენ კოპალიანი, იური სილაგაძე, ჯამბულ გოდოლაძე ოჯახებით.**

---

მეუღლე აგრაფინა, შვილები მურთაზი, დალი, ბორია, ია, რძლები მერი საბეკია, მანანა გუგავა, სიძე მიხეილ ფრუიძე, შვილიშვილები გიორგი, სალომე, ზურიკო, თემური იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოგი (ლონგინოზ) ალექსის ძე სილაგაძე.**

დაკრძალვა 30 იანვარს, სამშაბათს, ქ. ცაგერში.

---

ალპანის საშუალო სკოლის 1984 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალეკო გურგენის ძე ხუციძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლახურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ქუქუნა და ლია სვანიძეებს დისა და დეიდის

**თინა მუშკუდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნუცა, ვახტანგ, ნოდარ, გელა, მამუკა ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლღა დავითულიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები მამუკა, მევლუდ, ეთერი, რძალი ინეზა ვაშაყმაძე, სიძე რეზო გოდოლაძე, შვილიშვილები მაყვალა, მარინე, მირზა, ნატო, ზაზა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სონა სოფრომის ასული ლეშკაშელი-ახვლედიანი.**

დაკრძალვა 28 იანვარს, კვირას, სოფ. ლაცორიაში.

---

კავშირგაბმულობის ლაჯანის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ იური გიორგობიანს დეიდის

**ოლღა დავითულიანი-ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ტვიშის სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის აპარატის, სამედიცინო ამბულატორიის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, კავშირგაბმულობის განყოფილების, ვაჭრობის, ღვინის ქარხნის მუშაკები თანაუგრძნობენ როზეტა ქვარიანს და არდევან გაბიანს მამამთილისა და მამის

**გრამიტონ გაბიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები ოლეგ გიორგობიანი, ბორის მამარდაშვილი, გოგი მუშკუდიანი, ნუგზარ ჭაბუკიანი, ამირან ახვლედიანი, ვენედი ცხვედიანი, მერაბ ჭილვარია, ქიშვარდი ყურაშვილი, მევლუდ სილაგაძე, ნანი ხაბულიანი, მელანო ჯამბურიძე, საშა ბერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მიმოზა და ანდრო ბურჯალიანებს ბებიის

**ოლღა დავითულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მამუკა სილაგაძეს ბებიის

**საშა ბაბლუანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნათელა, ანგელინა, რომან ლომთაძეები ოჯახებით იუწყებიან დეიდის

**პასიკო ჭაბუკიანი-ახვლედიანის**

გარდაცვალებას.

---

განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეთერ და ამბერკი სილაგაძეებს დედისა და სიდედრის

**საშა ბაბლუანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი გივი, რძალი როზა, შვილიშვილები შმაგი, სოფიკო, მანანა ასათიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლია პეტრეს ასული თუთისანი-ასათიანი**

დაკრძალვა 30 იანვარს, სამშაბათს, სოფ. ბარდნალოში

---

ცაგერის №23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ გივი ასათიანს დედის

**ოლია ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ალეკო გურგენის ძე ხუციძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მურმან, ბიძინა სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლონგინოზ სილაგაძე.**

---

ცაგერის რაიონის სამედიცინო საზოგადოება თანაუგრძნობს ეთერ ბაბლუანს დედის

**საშა ბაბლუანის**

გარდაცვალების გამო.

---

**რედაქტორის მოადგილე მ. ძნელაძე.**

---

სახლმმართველობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოსტა სილაგაძეს ძმის

**ლონგინოზ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეთერ ბაბლუანს დედის

**საშა ბაბლუანის**

გარდაცვალების გამო.

---

და კალისტინა, დისშვილი ირინე ჩიქვაიძე, სიძე მურმანი, დისშვილისშვილები ირმა, კოტე სალინაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თინა კოსტას ასული გიორგობიანი-ჩაჩხუნაშვილი.**

---

ჯემალ კობერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გოგი (ლონგინოზ) სილაგაძე.**

---

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ია ლეშკაშელს ბებიის

**ოლღა დავითულიანის**

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებებს: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.